

**ფრანგული ენის გზარიანი სისტემის ქართულ ენაზე  
ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიპციის სახელმძღვანელო ნუსხი**

*(მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2022 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე)*

ფრანგული	საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	ქართული შესატყვისი	პოზიცია	გამონაკლისი
A	A	ა	Alès – ალეს-ი (ქალაქი) Agen – აჟენ-ი (ქალაქი) Strasbourg – სტრასბურგ-ი Alice – ალის-ი Adèle – ადელ-ი	
ai	ɛ	ე	Saint-Étienne – სენტ-ეტიენ-ი Aicard – ეკარდ-ი (გვარი) Ain – ენ-ი (მდ.)	
ay	ey	ეი	Raynal – რეინალ-ი	მაგრამ ტრადიციით: ay – აი Raymond – რაიმონდ-ი Ay-e – Du Bellay – დიუ ბელე
au	O	ო	Aurillac – ორიაკ-ი ქალაქი) Auriol – ორიოლ-ი-(გვარი) Aurélien – ორელიენ-ი Gorau – გორო (გვარი) Daudet – დოდე Paul – პოლ-ი Gaul – გოლ-ი Auroux – ორუ Aura – ორა	
auld ault	o	ო	La Rochefoucauld – ლაროშფუკო Boussingault – ბუსენგო Perrault – პერო (გვარი)	

B	b	ბ	Brisson – ბრისონ-ი Breton – ბრეტონ-ი Brest – ბრესტი-ი	
C	C	ს	i, e, y ხმოვნების წინ გა- მოითქმის როგორც ს Citeaux – სიტო Provence – პროვანს-ი Cécile – სესილ-ი Francis – ფრანსის-ი	გამონაკლისი: Nice – ნიცა სხვა ენიდან დამკვიდრე- ბული ტოპონიმი: Sicile – სიცილია და არა სისილი
ct	ct	ქ	Victoria – ვიქტორია	
C	k	კ	თანხმოვნების წინ, ხმოვ- ნების a, o, u-ს წინ და სი- ტყვის ბოლოს გამოითქმის როგორც კ Clermont-Ferrand – კლერ- მონ-ფერან-ი (ქალაქი) Clara – კლარა Claude – კლოდ-ი Pascal – პასკალ-ი Jeanne d'Arc – ჟანა დ'არკ-ი ზოგჯერ სიტყვის ბოლოს არ გამოითქმის: Mont Blanc – მონბლან-ი (მწვერვალი)	
ch	ჩ	შ	თუ c-ს მოსდევს h ე.წ. მუნჯი თანხმოვანი, გა- მოითქმის როგორც შ Cherbourg – შერბურ-ი (ქალაქი) Chinon – შინონ-ი Loches – ლოშ-ი	მაგრამ: Christiane – კრისტიანი Chloé – კლოე
D	d	დ	Dubois – დიუბუა Damien – დამიან-ი Dumas – დიუმა d სიტყვის ბოლოს არ გა- მოითქმის: Rolland – როლან-ი Gérard – ჟერარ-ი Fernand – ფერნან-ი	გამონაკლისია: David – დავიდ-ი Alfred – ალფრედ-ი Sand – სანდ-ი

E	ჟ	ე	Edgar – ედგარ-ი Édouard – ედუარდ-ი Émile – ემილ-ი e – ზოგ შემთხვევაში სიტყვის შუაშიც არ გამოითქმის: Georges – ჟორჟ-ი d'Entrecasteau – დ'ანტრეკასტო Rabelais – რაბლე Destouches – დეტუშ-ი გამოითქმის, როცა სიტყვა მთავრდება მახვილიანი é-თი Littré – ლიტრე	მაგრამ ტრადიციით: Toulouse – ტულუზა; Corse – კორსიკა Loire – ლუარა Genève – ჟენევა Lausanne – ლოზანა Charlotte – შარლოტა
eau	ო	ო	Bordeaux – ბორდო Rousseau – რუსო Chateaubriand – შატობრიან-ი Beaumarchais – ბომარშე	
em	ჲ	ამ	Montalembert – მონტალამბერ-ი Sembat – სამბა	
en	ჲ	ან	Henri – ანრი Noulens – ნულან-ი Senderans – სანდერან-ი Sébastien – სებასტიან-ი	
eu	œ	ე	Eugène – ეჟენ-ი Babeuf – ბაბეფ-ი Pasteur – პასტერ-ი Montesquieu – მონტესკიე Richelieu – რიშელიე Montreux – მონტრე (ქალაქი შვეიცარიაში) Mathieu – მათიე	
F	f	ფ	Felicia – ფელისია Figaro – ფიგარო Fabien – ფაბიან-ი	

G	g	გ	a, o, u ხმოვნების წინ წარმოითქმის და იწერება როგორც გ Grégoire – გრეგუარ-ი Gautier – გოტიე Guerin – გერენ-ი Grenoble – გრენობლ-ი Gabin – გაბენ-ი	
G	g	ჟ	i, e, y, ხმოვნების წინ იკითხება და წარმოითქმის როგორც ჟ Georges – ჟორჟ-ი Gilles – ჟილ-ი Giraud – ჟირო	გამონაკლისია: Vosges ვოსგები (და არა ვოსჟები) Gênes გენუა (და არა ჟენი) Bruges ბრიუგე (და არა ბრუჟი)
geo	jo	ჟო	Geoffroy – ჟოფრუა Georges – ჟორჟ-ი	
gn	ნ	ნ	Bretagne – ბრეტან-ი Auvergne – ოვერნ-ი  თუ მოსდევს o და a, წარმოითქმის როგორც ნი Avignon – ავინიონ-ი Cognac – კონიაკ-ი.	
gne	ნ	ნ სიტყვის ბოლოს	Bretagne – ბრეტან-ი Boulogne – ბულონ-ი Charlemagne – შარლემან-ი	გამონაკლისია: Bourgogne – ბურგუნდია (არა ბურგონ-ი)
g	-	სიტყვის ბოლოს არ გამოითქმის	g ბურგ-ში ყველგან შენარჩუნებულია. მაგალითად: Strasbourg – სტრასბურგი Combourg – კომბურგი Taillebourg – ტაიბურგი	გამონაკლისია: Cherbourg – შერბურ-ი
H	-	არ გამოითქმის	Hélène – ელენ-ი Huber – უბერ-ი Rhône – რონა	გამონაკლისია: Hâvre – ჰავრ-ი Hugo – ჰიუგო

I	i	ი	Élisée – ელისე Giraud – ჟირო Île-de-France – ილ დე-ფრანს-ი Isère – იზერ-ი	
il, ill –	i	ი	Excideuil – ექსიდეი Aureille – ორეი Rambouillet – რამბუიე ზოგჯერ იი – Guillaume – გიიომ-ი François Villon – ფრანსუა ვიიონი	გამონაკლისია ville-ის შემცველი სახელები: Grandville – გრანვილ-ი. Leuville-sur-Orge ლევვილ-ს(ი)ურ-ორჟი Tocqueville – ტოქვილი
in	ინ	ენ	Provin – პროვენ-ი Dullin – დიულენ-ი Vincent – ვენსან-ი Rodin – როდენ-ი Chardin – შარდენ-ი Cachin – კაშენ-ი Martin – მარტენ-ი Gabin – გაბენ-ი	
J	j	ჟ	Joly – ჟოლი Jean – ჟან-ი Julien – ჟულიენ-ი Dijon (ქ.) – დიჟონ-ი Jules – ჟიულ-ი Anjou – ანჟუ.	
K	k	კ	Kylian – კილიან-ი Karlène – კარლენ-ი Kindra – კინდრა	
L	l	ლ	Lambert – ლამბერ-ი La Flèche – ლაფლეშ-ი Abelard – აბელარ-ი Labourbe – ლაბურბ-ი Lully – ლული Éluard – ელუარ-ი Blume – ბლუმ-ი	
M	m	მ	Menault – მენო Ampère – ამპერ-ი	

			d'Alambert – დ'ალამბერ-ი Comte – კომტ-ი Amfreville – ამფრევილი	
N	n	ნ	Meunier – მენიე Nièvre – ნიევრ-ი	
O	ა	ო	Colette – კოლეტ-ი	
œ	œ	œ და œu (სიტყვის თავში და ხმოვნის შემ- დეგ) – ე:	Ærlicon – ერლიკონ-ი Ætrange – ეტრანჟ-ი Sacré-Cœur – საკრე-კერ-ი	
oi	wa	უა	La Boisse – ლაბუას-ი Antoine – ანტუან-ი Dubois – დიუბუა Grégoire – გრეგუარ-ი Loire – ლუარა Lavoisier – ლავუაზიე	
ou	u	უ	Chevroux – შევრუ Decour – დეკურ-ი Pompadour – პომპადურ-ი Mulhouse – მულუზ-ი Strasbourg – სტრასბურგ-ი	
P	p	პ	Paul – პოლ-ი Poitiers – პუატიე	
ph	f	ფ	Philippe – ფილიპ-ი Joseph – ჟოზეფ-ი	
Q	k	კ	Loire-Atlantique – ლუარ-ატლანტიკ-ი	
R	რ	რ	Renoir – რენუარ-ი Victor – ვიქტორ-ი ზოგჯერ სიტყვის ბოლოს არ გამოითქმის: Berger – ბერჟე Roger – როჟე Beranger – ბერანჟე	

			Granger – გრანჟე Montpellier – მონპელიე	
S	s	ს	Samuel – სამუელ-ი Sidoine – სიდუან-ი Stéphan – სტეფან-ი Roussel – რუსელ-ი Serge – სერჟ-ი Justine – ჟიუსტინ-ი	გამონაკლისია: Balsac – ბალზაკ-ი Paris – პარიზი
		ზ s ორ ხმო- ვანს შორის გამოითქმის როგორც ზ	Élisée – ელიზე გამონაკლისი (ელისეს) Toulouse – ტულუზა	გამონაკლისი: Jaurès – ჟორეს-ი Saint-Saëns – სენ-სანსი Champs-Élysées – ელისეს მინდვრები
		Ø s სიტყვის ბოლოს არ იკითხება.	Lucas – ლუკა Dumas – დიუმა Louis – ლუი Charles – შარლ-ი Arles – არლ-ი Artois – არტუა	
		Ø s სიტყვის შუაში ხშირად l, m, n-ს წინ არ იკითხება.	Isle-Jourdain – ილ-ჟურდენ-ი Rouget de Lisle – რუჟე დე ლილ-ი Lebesgue – ლებეგ-ი	
T	t	ტ სიტყვის თავსა და შუაში	Tristan – ტრისტან-ი Gautier – გოტიე	
		Ø ტ სიტყვის ბოლოს ჩვეულებრივ არ გა- მოითქმის:	Belfort – ბელფორ-ი Goncourt – გონკურ-ი Daudet – დოდე Bleriot – ბლერიო Duguit – დუგუი Robert – რობერ-ი Mont Blanc – მონბლან-ი (მწვერვალი)	
th	th	ტ	Arthur – არტურ-ი Barthou – ბარტუ	

		თ	Thorez – ტორეზ-ი Thibaud – ტიბო  Berthollet – ბერთოლე Théophile – თეოფილ-ი Théodor – თეოდორ-ი	
tz	tz	ს  ც	Gremetz – გრემეტსი  ფრანგულად წარმოითქმის როგორც ès, მაგრამ ქართულად გადმოგვაქვს, როგორც ც: Metz – მეცი (ქალაქი)  სიტყვის ბოლოში ზოგჯერ არ გამოითქმის: Beaumetz – ბომე Retz და მისი შემცველი სახელები: Abbaretz – აბარე Maretz – მარე	
U	Y, y	იუ	Durand – დიურან-ი Dupont – დიუპონ-ი Dumas – დიუმა Camus – კამიუ Duvalier – დიუვალე Dubois – დიუბუა	
un  um	წ  um	ენ  უმ უცხოური წარმოშობის სახელები:	Lebrun – ლებრენ-ი  Umberto – უმბერტო Umbrie – უმბრია	
V	v	ვ	Versailles – ვერსალ-ი Victoria – ვიქტორია	
W	v	ვ	Weber – ვებერ-ი	
X	x	ქს	ქს: Xavier – ქსავიე Luxembourg –	



			ლუქსემბურგ-ი Xertigny – ქსერტინი	
		გზ ს Ø x სიტყვის ბოლოს არ გამოითქმის	Saint-Exupéry – სენტ-ეგზიუპერი Auxerre – ოსერ-ი Delacroix – დელაკრუა Roubaix – რუბე	
Y	i	ი	Nancy – ნანსი (მოთხრ: ნან- სი-მ, თანდებულისანი: ნან- სი-ში) Yonne – იონ-ი Vichy – ვიში Lyon – ლიონ-ი	
Z	z	ზ  სიტყვის ბოლოს ზოგჯერ არ გამოითქმის	Zola – ზოლა  Valdonnez – ვალდონე Odomez – ოდომე	

შესაძლოა გეოგრაფიული სახელი ითარგმნოს. მაგ.: Les Alpes – ალპები.

მრავლობითში დასმული ტოპონიმი ქართულშიც მრავლობითის ნიშანს იძენს. განსაკუთრებ-  
ბით ეს მთაგრეხილებისა და ქედების სახელწოდებებში: Pyrénées – პირენეები, Vosges – ვოსგები.

ფრანგულში უცხო ენებიდან შესულ გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა ტრანსკრიფცია  
ხდება:

ა) იმ წყარო ენის მიხედვით, საიდანაც სახელები მომდინარეობს;

ბ) იმ შუალედური ენის მიხედვით, საიდანაც ეს სახელები დამკვიდრდა ქართულში (ხშირად  
რუსული, გერმანული);

ვითვალისწინებთ აგრეთვე უკვე არსებულ ტრადიციას, თუნდაც იგი არ შეესაბამებოდეს  
ფრანგულ წარმოთქმას.

არტიკლი La ქართულად გადმოტანისას იწერება იმ საკუთარ სახელთან, რომელსაც წინ უს-  
წრებს. მაგალითად: La Manche – ლამანში.